საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 იანვარი 2011 წ ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/5

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მიღების მიზნით რსუ-ს აკრედიტებულ სარეზიდენტო პროგრამებზე (სპეციალობები: თერაპიული სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია) მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135 /ნ ბრძანების, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2009 წლის 17 ნოემბერის Nh1.017/14-3418 წერილის, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებისგანხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ რსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის დადგენილების, სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელის, ვაჟა ჩანტლაძის 2011 წლის 13 იანვრის №77 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მიღების მიზნით რსუ-ს აკრედიტებულ სარეზიდენტო პროგრამებზე **(სპეციალობები: თერაპიული სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია)** გამოცხადდეს სპეციალობის მაძიებელთა მისაღები კონკურსი. კერძოდ კი:

ა) თერაპიული სტომატოლოგიაზე – 7 სპეციალობის მაძიებელი;
ბ)ორთოპედიულ სტომატოლოგიაზე – 5 სპეციალობის მაძიებელი;

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს რსუ–ს კანცელარიაში 2011 წლის 20 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით, 10 სთ–დან 17 სთ–მდე, გარდა შაბათ–კვირისა;

3. სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში, დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული მაღალი შეფასების გათვალისწინებით. თუკი კონკურსანტთა ოდენობა გადააჭარბებს მისაღებ ოდენობას, ჩარიცხვა განხორციელდეს სარეზიდენტო პროგრამებისა და შესაბამისი მოდულების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით, რომელიც გაიმართება 2011 წლის 31 იანვარს (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

5. ბრძანება საჯარო გამოქვეყნების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

6. ბრძანება ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 52);

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**